ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა
კომისიის სხდომის ოქმი №14

12 ივლისი , 2018 წელი
14:00 საათი

(ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის ოთახი 329)

სხდომას ესწრებოდნენ ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრები:

1. გიორგი ბირბიჩაძე
2. ნინო ლაცაბიძე;
3. ვლადიმერ ძნელაძე;
4. გიორგი დოხტურიშვილი;
5. ლილე ლიპარტელიანი;
6. ფრიდონ ინჯია;
7. დათო ჟღენტი

სხდომის დღის წესრიგი:

1„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის N8-22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის თაობაზე

(# 12-0318187192-03; 06.07.2018)

სხდომას თავმჯდომარეობდა ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ბირბიჩაძე.

გიორგი ბირბიჩაძე - მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა. კომისიის წევრებს და მოწვეულ სტუმრებს წარმოუდგინა ქვორუმი და გააცნო დღის წესრიგი.

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

გიორგი ბირბიჩაძემ წარადგინა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის N8-22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი რომელიც მოიცავს შემდეგ ცვლილებებს:

11.**"ტრანსპლანტაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესის"**(დანართი #5) მე-8 მუხლი ჩამოყალიბდება შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 8. მიმწოდებლისათვის დადგენილი დამატებითი პირობები

1.ამ წესის მე-3 მუხლის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების საქართველოში გაწევის შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

ა) უზრუნველყოს მომსახურების განხორციელება არაუმეტეს ამ წესის მე-7 მუხლით განსაზღვრული ტარიფისა;

ბ) საკუთარი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მეშვეობით უზრუნველყოს ბენეფიციარისათვის საჭირო ამ წესის მე-3 მუხლის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ყველა მომსახურების გაწევა.

2. ამ წესის მე-3 მუხლის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

ა) უზრუნველყოს მომსახურების განხორციელება არაუმეტეს ამ წესის მე-7 მუხლით განსაზღვრული ტარიფისა;

ბ) ჰქონდეს მომსახურების განხორციელების, სულ მცირე, ორწლიანი გამოცდილება.

გ) მომსახურება განხორციელებული ჰქონდეს მინიმუმ 5-ჯერ.

დ) უზრუნველყოს მომსახურების განხორციელება სპეციალისტის მეშვეობით, რომელსაც წარმატებით აქვს ჩატარებული აღნიშნული მომსახურება მინიმუმ 5-ჯერ."

აღნიშნული ცვლილება გულისხმობს ბენეფიციართათვის სერვისის მომსახურების სრულყოფას.

2. ასევე წარმოდგენილი პროექტით ცვლილება შევიდა **„ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების ქვეპროგრამის განხორციელების წესში"**(დანართი #6), კერძოდ:

2.ა) მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისათვის განცხადებით მიმართვამდე ბოლო 2 წლის განმავლობაში უწყვეტად და ამავდროულად, ქვეპროგრამაში ჩართვის მომენტისათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულნი, ან";

2.ბ) მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში ბოლო 2 წლის რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი (საინფორმაციო ბარათი)".

კომისიის სხდომა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა.

ვლადიმერ ძნელაძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ სამედიცინო მომსახურების ტარიფების ზრდის შეჩერების მიზნით აუცილებელია მათი ფიქსირება.

ლილე ლიპარტელიანი თვლის რომ ტრანსპლანტაციის ქვეპროგრამა არ არის ხარჯთ-ეფექტური და ღვიძლის ტრანსპლანტაციის კომპონენტი ამოსაღებია პროგრამიდან.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი:
მომხრე: 6
წინააღმდეგი: 1
თავი შეიკავა: 0

დაადგინეს:

აღნიშნული პროექტი (#12-0318187192-03; 06.07.2018) განხილული იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე **ჯანმრთელობის** დაცვის **და** სოციალურ **საკითხთა** კომისიის **უმრავლესობის დადებითი** რეკომენდაციით.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

გიორგი ბირბიჩაძე